[illegible]

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონში ფასი 60 კაპ.

№ 592 1918 წ. კვირა. ნოემბრის 24. № 592

ინგლისელებმა ზავის პირობების გამოქვეყნებამდე წინადადება მისცეს გერმანელთა ჯარს საქართველოში დარჩნენ. მოსკოვის ცნობით მოკავშირეებს სტამბოლი და ადესა დაუჭერიათ. რუსეთში გერმანიის ელჩები დაპატიმრებული არიან. ფრანგები დიდის ენტუზიაზმით შედიან ელზას-ლორენში.

გაიოზ ადამის ძე ბერელაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის მეუღლის

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასულ ბერელაშვილისას.

გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24-ს დილის 9 ნახ. საათ. საკუთარი ბინიდან მიხეილის პრ. (სამხედრო სასწავლებელი) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა იმავე სასაფლაოზე. 2420

ნინო დიმიტრის ასული, ადამ ზურაბის ძე ბერელაშვილი შვილებითურთ: თამარი, ზურაბი, დავითი, იოსები და ბარბარე ადამის ასული, ვასილ ფარნაოზის ძე კიკნაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას რძლისა

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა.

გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24 ს, დილის 9 ნახ. საათ. საკუთარი ბინიდან მიხეილის პრ. (სამხედრო სასწავლებელი) ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დაკრძალვა იმავე სასაფლაოზე.

ოლღა დავითის ასული, სიმონ, ბუდუ, პავლე და ნიკოლოზ გუოგენისძენი, მდივნები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარის დისწულის

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა

გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24-ს, საკუთარ ბინიდან (მიხეილის პრ. სამხედრო სასწავლებელი) დილის 9 ნახ. საათზე. წირვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. 2451

სალომე ქაიხოსროს ასული, დავით და მიხეილ კონსტანტინეს ძენი ლორთქიფანიძენი და ოლიმპიადა კონსტანტინეს ასული და შალვა ანტონის ძე მიქელაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი შვილისა, მეორენი დისა და უკანასკნელი ცოლის დისა

თამარ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ასული ბერელაშვილისა.

გამოსვენება კვირას, ნოემბრის 24-ს, საკუთარ ბინიდან (მიხეილის პრ სამხედრო სასწავლებელი) დილის 9ნახ. საათზე. წირვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. 2451

ქეთევან ზურაბის ასული, მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ასული შვილებით ანდრონიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ნოემბრის 26-ს, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე

დიმიტრი (ტიტო) ზურაბის ძე ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ. 2450

გულდათუთქული დედა სოფიო დიმიტრის ასული დავიდოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, ნოემბრის 24-ს, მისი დაუვიწყარი შვილის გიმნაზიის მე-7 კლასის მოწაფის

დავით ალექსანდრეს ძის დავიდოვის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე, პანაშვიდი 12 საათ. 1377

გულდამწვარნი და ღრმად დამწუხრებულნი მშობლები, დედა: სოფიო (საშიკო) სპირიდონის ასული, მამა: ანთიმოზე ლუკას ძე დები: მარუსია და სონა ანთიმოზის ასულნი მაღრაძენი უღრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მის ამხანაგებს, რომ ნოემბრის 26 (ახ. სტ. დღით სამშაბათს, გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარის და უსაყვარელის ტრაგიკულად სექტემბრის 2-ს, დაღუპულს, ქუთაისის რეალურის სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფის და მოხალისედ მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1 ბატარეის ჯარისკაცად მყოფის

გიორგი (ჟორჟიკა) ანთიმოზის ძის მაღრაძის

სულის მოსახსენებლად ქ. ქუთაისში რეალურ სასწავლებლის ეკლესიაში. 2426

ღრმად დამწუხრებულნი შვილი კირილე, რძალი მარინე და შვილის-შვილები: ქეთო, არჩილ, ნინო, თამრიკო და გენო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, კვირას, ნოემბრის 24 ს ნაძალადევის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მამის და ბაბუის

ბეჟან ვასილის ძის ხარაძის

სულის მოსახსენებლად. 1

განცხადება

ქართულ რკინის გზის შემოსავალ განყოფილების ეზოში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 70 ამა 25 ნოემბერს 1918 წელს (ახალი სტილით) 11-საათზე დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა წარსული წლების ანგარიშების და საბუთებისა წონით 400 ფუთამდე, ფასი 10 მანეთი ფუთი.

დაწვრილებით: ქ. ტფილისი, შემოსავალი განყოფილება ქართული რკინის გზისა, ჩერქეზოვის ქუჩა № 70—9 საათიდან 4 საათამდე ყოველ დღე გარდა უქმეებისა 1416

სახელმწიფო თეატრი

კვირას, ნოემბრის 24-ს, **ოპერა** დილით

შვაბერგის, მოლჩანოვის, ნიკოლსკის მონაწილეობით

დასაწყისი 12 საათზე **ფაუსტი** ვალპურგიის ღამითურთ

საღამოთი მ. ალეშკოს, კანშინის და ორდას მონაწილეობით

1. ტოსკა. 2. ქორწილი უკრაინაში.

ადგილების ფასი ძლიერ დაკლებულია. დასაწყისი საღ. $7^1/_2$ ს.

სამშაბათს, ნოემბრის 26-ს ხაზანეევის, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით

სევილიელი დალაქი.

დასის წარმომადგენელი ევლახიშვილი. 1397

დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“

დემ. კლ. არს. ქარს. სახ. წარ. მმარ. წრე

კვირას, ნოემბრის 24-ს 1918 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქ. მ. ცაგარლისა.

ბილეთების ფასი სახალხოა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე თეატრის კასაში საღ. 5—8 საათ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. 2245

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ. ნოემბრის 24-ს

ორი სადღესასწაულო წარმოდგენა

დღისით 3 საათზე. საღამოთი 8 საათზე.

მონაწილეობენ: ცხენოსანი ქალები და კაცები, აკრობატები, გიმნასტები, ჟონგლორები, კუპლეტისტები, ბალერინები და ყველა კლოუნი. ტფილისელი კინტო პეტრე ლევანსკი, ძმ. ზინკოვსკები, ჰაერის მეფენი ოთხი ემმაკი, ძმ. ვიქტორი და დიმო. კომოს დასი. მოჯირითე ვოლდემარი, კომიკოსი ვუდი და პრიმა. ბოლოს კავკასიური ჭიდაობა. ჭიდაობს ექვსი საინტერესო წყვილი. დაუკრავს ზურნა. კასა ღიაა დილის 12 ს.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2453

ყურადღება

მოითხოვეთ

კონიაკები და ღვინოები } **ა. გ. ბარგისა**

უმთავრესი საწყობი ტფილისი, კიროჩნის ქ. № 19. ტელეფონი 18—19

ტფილისის ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო საბჭო იწვევს დღეს, ნოემბრის 24-ს, დილას 11 საათზე, ამ ეკლესიის მკვიდრ მრევლს მეორე კრებაზედ მოლარისა და კრებულის წევრთა ასარჩევად. თუ კიდევ არ შესდგა კრება, გადადებული იქნება შემდეგ კვირისთვის. 2453

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მადათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საკურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

საპიორთა ბატალიონი რომელიც დაბინავებულია ქალ ტფილისში 1 კახეთის ქ. № 25, ტფილისის ყოფილ პოლკის სადგომში) იწვევს გამოცდილ უნტერ-ოფიცრებს, რომელნიც ირიცხებიან სათადარიგოში, ოცის-თავები და ზენდეგებათ.

საჭიროა ცოდნა: ან საპიორულ ან სატელეგრაფო და სატელეფონო საქმის, აგრეთვე ქართულ ენისა. პირობები: გარდა დადებულ ჯარის-კაცთათვის, მიეცემათ დამატებითი ჯამაგირი 250 მანეთი თვეში და ცალკე ოთახი ბატალიონის სადგომში. წლოვანობა არა უმეტეს 36 წლისა. 2717

ს.-ფედერალისტთა ოზურგეთის მაზრის ორგანიზაციებს

ორშაბათს, ნოემბრის 25 ს, ქ. ოზურგეთში დანიშნულია სოციალისტ-ფედერალისტთა სამაზრო კონფერენცია.

განსახილველი საკითხები:

1. მოხსენებები სამაზრო კომიტეტისა და ადგილებიდან.
2. სამაზრო კომიტეტის რეორგანიზაცია.
3. მომავალი მუშაობის გეგმა დამფუძნებელი კრება, საერობო მუშაობა.

წარმომადგენლობა 50 კაცი გზავნის 1 დელეგატს.

1415 **სამაზრო კომიტეტი.**

განცხადება

პირველ დეკემბრიდან სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილება, სამხედრო მინისტრის განკარგულებით, გამოსცემს ყოველ-კვირეულ სამხედრო ოფიციალ ჟურნალს, სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულს „რესპუბლიკის ჯარს“.

ჟურნალს ექნება ორი განყოფილება: ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება ბრძანებები სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ, ჯარების მიმართ და წესდებები, და არაოფიციალი, სადაც დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, ფელეტონები მეცნიერების ყოველივე დარგიდან, პრესის მიმოხილვა კვირიდან-კვირამდე და ქრონიკა. ჟურნალი სურათებიანი იქნება და ეღირება ცალკე ნუმერი 1 მ. 50 კაპ. ხელის მომწერთ ჟურნალი დაეთმობა: ერთი წლით 52 მანეთად, ნახევარი წლით 26 მანეთად და სამი თვით 13 მანეთად. ხელის მომწერლებმა ფული უნდა გაუგზავნონ ჟურნალის რედაქციის მოლარეს, კაპიტან გიორგაძეს.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 10—3 საათამდე.

რედაქცია მოთავსებულია სამხედრო სამინისტროში, ბარიათინსკის ქუჩა ტელეფონი 5—13. 2436

იყიდება ბუტკა

კიროჩნის ქ. 4.

პირობების გაგება შეიძლება ქართული კლუბის შესავალში სიმონ გალაშვილთან. 2446

სასტუმრო „უნივერსალი“

დეკემბრის 1-დან თავისუფლდება გერმანელების რიკვიზიციებისაგან. 2454

[illegible]

* * *

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!
ვისაც გულს ცეცხლი უხთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც ზიზღი მოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!
ვინც უყოყმანოდ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისას,
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზიისას!
ვისაც კი უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ჩრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა-მე მისი ჭირისა!

ტფილისი, ნოემბრის 24.

კავკასიის ერები. საქართველოს მთავრობის მიერ მოწვეული კავკასიის ერების კონფერენციას ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია მუშაობის დაწყება. ცხოვრება კი ყოველ დღე ახალ მასალას გვაწვდის იმისას, რომ ადგილობრივ ერების შეთანხმება „სინე ქუა ნონ“-არის ყველა აქაურ ერების სიცოცხლისა. არც ერთი ერის ჯგუფი არ უარყოფს სიხამდვილეს და არ მალავს იმ წინააღმდეგობათ რომელნიც ღრმა სოციალურ, ეკონომიურ და ეროვნულს ნიადაგზე არსებობენ ყველა ერთა შორის. მაგრამ ისიც არ უნდა იყოს სადავო, რომ შეუთანხმებლად ცხოვრება არ შეგვიძლია თუ იმ მახინჯ მოსაზრებას არ მივიღებთ, რომლითაც რომელიმე ერს გარეშე ძალას ჩავაყლაპვინებთ.

კავკასიის ერებს შორის ყველაზე მეტად შეუთანხმებელ პოლიტიკას სომხის ერი ადგია. მართალია სომხის ერმა დღემდე ვერ მოახერხა ეროვნულ ტერიტორიების თავის მოყრა და საკუთარ ფეხზე დადგომა მაგრამ ამ ისტორიულ მიზნის შესრულება სომხობას იმდენად გაუძნელდება, რამდენადაც უარყოფს ადგილობრივ ერებთან შეთანხმების იდეას,

ძალიან დამახასიათებელი ის არის, რომ სომხის ერის წინააღმდეგ ამ ჟამად არავინ არ არის ამხედრებული, ყოველ შემთხვევაში იმდენად, რომ სომხობასთან მტრობას შეუძლებლად სცნობდნენ, ამიტომ შეუძლებელია ეხლავე არ აღინუსხოს, რომ კავკასიის ერთა კონფერენციის მუშაობის ხელის შეშლაში პასუხისმგებელი უმთავრესად სომხობა იქნება, რომელიც არ შეეცდება მორიგებით და შეთანხმებით სადავო საკითხების გადაჭრას.

თვით ჩვენთვის, ქართველთათვის და ყველა იმ ერებისთვის, რომლებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი
ხახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრე.
კვირას, 1918 წ. ნოემბრის 24-ს წარმოდგენილი იქნება:
გამცემი
დრამა 3 მოქმ. ი. გედევანიშვილისა
მონაწილეობენ: ქ-ნი ს. ანკარა, ე. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბ-ნნი შ. მამაჯანოვი, ა. მეტრეველი, ი. რომანიშვილი, ა. თადგირიძე, ნ. ჭანკვატაძე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ—მდე. ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. დასაწყისი საღამოს 7 ს.
რეჟისორი ი. ბარველი. ქარ. ს. წ. წ. ადმინისტრაცია. 2438

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო
ამით აცხადებს, რომ კვირას, ნოემბრის 24-ს დილის 11 საათზე ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია კავშირის წევრთა
საგანგებო კრება
საგანი კრებისა: წრევანდელი სეზონის ვითარება და კავშირის დამოკიდებულება მასთან. 1396

მიხეილის სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 30 ამა 1918 წლისა, დღის 1 საათზე, მოხდება ქ. ტფილისში, ბანკის განყოფილების შენობაში, ფრეილინის ქუჩა № 1, ვაჭრობა ბანკის მამულებისა, მდებარე ქ. ტფილისში: 1) მალაკანის ქუჩაზე, ეივაზ ბაბას ყულისა, რომელიც შეიცავს ერთ ნაჭერ ადგილს, ზომით 312 ოთხკუთხს საჟენს, შენობებით და 2) ანდრეევის ქუჩაზე ბალდუროვის სეულისა, რომელიც შეიცავს ერთ ნაჭერს ადგილს, ზომით 190 ოთხკუთხს საჟენს შენობებით. მსურველებმა ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებისა უნდა წარმოადგინოს ბედ პირველ მამულისთვის ოცი ათასი მანეთი, ხოლო მეორისათვის ათი ათასი მან. ორივე მამულის შესახებ საჭირო ცნობა მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ როგორც ბანკის გამგეობაში, აგრეთვე ტფილისის განყოფილებაში. 1398-5

გამგეობა
ტფილისის სადგილ-მამულო ბანკისა
ამით აცხადებს, რომ ბანკის წესდების მე 14 პარაგრაფის ძალით 1918 წლის დეკემბრის 20-ს ბანკის შენობაში (ტფილისში) ლორის-მელიქოვის ქ. საკუთარი ბინა, მოხდება საჯაროდ გაყიდვა უძრავ ქონებათა 1918 წლის ივლისის 1-დან 1919 წლის 1 იანვრამდე ხვედრი გადასახადის შეუტანლობის გამო. მეორე და საბოლოვო ვაჭრობა დანიშნულია 1919 წლის იანვრის 4-ს. დაწვრილებითი განცხადება დაბეჭდილია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ № 85. (1919 წლის ნოემბრის 7). 1418

კახეთის რკინის გზის 1 უბნის უფროსი
ამით აცხადებს, რომ უბნისთვის საჭირონი არიან გამოცდილი გზის დარაჯები, უფროსი და რემონტის მუშები. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება უბნის უფროსის კანტორაში (კიროჩნაია 32). 9—3 საათამდე. 2433

განცხადება
საქართველოს პარლამენტის და მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების ეკონომიური საზოგადოების გამგეობა იწვევს მათ, ვისაც შეუძლიან მიაწოდოს საზოგადოებას შეშა, კართოფილი, ლობიო, სიმინდის და პურის ფქვილი, ხახვი, კომბოსტო, ბრინჯი, ერბო, ყველი, თაფლი და სხვა.
მსურველთ წინადადება ეძლევათ განცხადება შემოიტანონ, პირადად მოლაპარაკებაც შეიძლება საზოგადოების კანტორაში ევანგულოვის ქუჩაზე № 29 საღამოს 4—5 საათამდე. 243.

მაც კი გამოგზავნეს რწმუნებულები აუცილებელია კონფერენციის მოხდენა თუნდაც ერთი რომელიმე ერი არ გამოცხადდეს კონფერენციაზე. საკმაო დრო უცადეს სომხობას, დიდი ყურადღება მიაქციეს მათ ინტერესებს და თუ ამ ყურადღებით სომხობა არ ისარგებლებს ამის ბრალი მათ უნდა დაედოთ. დანარჩენ ერებს მართებს შეკრება, მუშაობის დაწყება და იმ საერთო ენის გამონახვა, რომელიც კავკასიის ერთა ცხოვრებას საფუძვლად დაედება.

ჩვენმა პრესამ უკვე აღნუსხა ამ კონფერენციის მნიშვნელობა, ზავი მოახლოვებულია და უდიდესი დამსახურება იქნება, თუ ადგილობრივი ერები შესძლებენ მსოფლიოს კონფერენციაზე შეთანხმებულ, უდავო პროექტით გამოსვლას. რა თქმა უნდა ამას გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს კონფერენციას, ჯერ კიდევ არ არის სამუდამოდ უზრუნველყოფილი ჩვენი ქვეყნების დამოუკიდებლობა, ამისათვის საჭიროა არა მარტო ეროვნულ ორგანოების შექმნა, საჭიროა ამ ორგანოების ძალთა ისეთ საერთო კალაპოტში ჩაყენება, რომ შესძლონ შექმნა მძლავრი თავდამცველ ენერგიისა, რომელსაც ვერაფერს დააკლებდეს მრავალი შინაური და გარეშე მტერი.

რევოლიუცია თუ რეაქცია

თუ დეპეშათა ცნობას დაუჯერებთ, მოკავშირეებს კანონის გარეშე გამოუცხადებიათ ბოლშევიკები და საღვთო ომს ემუქრებიან დღევანდელ რუსეთის ხელმძღვანელებს. მეორეს მხრით ამერიკის შტატების პრეზიდენტს ვილსონს მოუთხოვენია, რომ გერმანიამ არ მიიღოს ელჩად ბოლშევიკური რუსეთის წარმომადგენელი. ეს ორივე ფაქტი ბევრის მეტყველია. შეიძლება თავის თავად ბოლშევიკების ბედი საინტერესო არ იყოს ჩვენთვის, მაგრამ აქ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს იმ საერთო გეგმას, რომელიც სარჩულად უდევს მოკავშირეთა მოქმედებას, და რომლის მიზანია ყოველნაირი დემოკრატიული მოძრაობის ჩაკვლა და გაბატონება წინანდელის იმპერიალისტური პოლიტიკისა მეტის სიმძაფრითა და სიმკაცრით. მოკავშირეებს პირველ ნიშანში ამოუღიათ ბოლშევიკები, მაგრამ ცხადია, რომ ამას არ დაკმაყოფილდებიან. ჯერ მოინდომებენ ბოლშევიზმის დამარცხებას და თუ ეს შესძლეს, შემდეგ ხელს მოკიდებენ გერმანიის დემოკრატიასაც, ვინდაიდგან უფრო ადვილად შეურიგდებიან ისევ ვილჰელმის დაბრუნებას, ვიდრე შეიდემან-ჰააზე-ლიბკნეხტის დამკვიდრებას გერმანიაში. მოკავშირეების პოლიტიკის ხელმძღვანელი დღეს მსხვილი ბურჟუაზიაა, რომელიც არასოდეს დაივიწყებს თავის ვიწრო კლასიურ ინტერესებს. სოციალური რევოლიუცია მას სრულს განადგურებას უქადის და თუ სადმე მისი ნასახი დაინახა, ტყვიაწამალს არ დაზოგავს.

როგორც ჯერჯერობით ეტყობა, ოსმალეთი გერმანიასთან შედარებით ნაკლებად დაზარალდა და გამარჯვებული მოკავშირენი თითქოს ლმობიერად ეპყრობიან. ეს ერთის მხრით გასაკვირველი არაა საფრანგეთის ფინანსისტებს და ბანკირებს დიდძალი ფული აქვთ დაბანდული ოსმალეთში და არ უნდათ რაიმე ხიფათში ჩააგდონ თავისი ქონება. ხმებია, რომ საფრანგეთისვე ფინანსიური წრეები დიდად ექომაგებიან რუსეთის გამთელებას, რასაკვირველია, იმავე მოსაზრებით: რუსეთსაც მილიარდობით ასესხეს ფული.

გარდა ამისა საგულებელია მოკავშირეთა შინაგანი ურთიერთობა მათი ინტერესი ყოველთვის ერთი და იგივე არაა. შეერთებულ შტატებსა და იაპონიას დიდიხანია ერთმანეთში უთანხმოება აქვთ. არც ინგლის-იაპონიის კავშირია მეტად საფუძვლიანი და სახანგრძლივო. შეიძლება ჩინეთის გამოფხიზლებაც აფრთხობდეს ევროპის კაპიტალისტებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ძველი რუსეთი საფარად და მოკავშირედ უნდოდეთ იაპონია—ჩინეთის საწინაამდეგოთ.

ყველაფერს ამას თუ გავითვალისწინებთ, ადვილად გავიგებთ ინგლის-საფრანგეთის დღევანდელ პოლიტიკურ მოღვაწეების გულის ტკივილს და მისწრაფებას, გავიგებთ, რომ რეაქციას ერთნაირი საფუძველი აქვს აწინდელ წყობილებაში და მისი აჩრდილი უბრალო შიშის წარმოშობილი არაა. რეაქცია შესაძლებელია თუ ინგლისსა და მის მოკავშირეებს დღევანდელი გამარჯვება შერჩათ. მოსალოდნელია ისეთი რეაქცია, რომელმაც შეიძლება გადააჭარბოს მეცხრამეტე საუკუნის რეაქციას და ჩვენ ვიხილოთ ახალი საღვთო კავშირი დემოკრატიის და თავისუფლების წინაამდეგ. ეს რეაქცია საშინელ ლოდად დააწვება დაჩაგრულ ერებსაც, რომელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება და გაუარესდება. ეს რეაქცია ჩაისახავს თავის გულში ახალი ბრძოლების მიზეზს და შეამზადებს ნიადაგს ახალი მსოფლიო ომისთვის.

ყოველივე ეს შესაძლებელია, მოსალოდნელია. მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ აუცილებელია, გარდაუვალია. შესაძლებელია მეორენაირი მიმდინარეობაც. შეიძლება ვერც ბოლშევიკები დაამარცხონ მოკავშირე იმპერიალისტებმა და ვერც გერმანიის დემოკრატია ჩააჩუმონ და დაწყებული რევოლიუცია გაიშალოს და გაფართოვდეს. ადამიანის გონება ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ მთელი მოწინავე ქვეყნის ხალხი, ფართო მასა, რომელიც საკმაოდ გათვითცნობიერებულია და მოღონიერებული დღეს,—კვლავ დამარცხდეს და ისევ მოძალადეების საწველ ფურად დარჩეს. ეხლახან დამთავრებულმა ომმა ბევრი რამ აუხსნა კაცობრიობას და მისი განმეორების შედეგები მთელი კულტურის მოსპობა და განადგურება იქნებოდა. დღევანდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა ყოველთვის წარმოშობს მტრობასა და ბრძოლას და მისი გარდაქმნა, ცხოვრების მოწყობა ახალ საფუძველზე აუცილებლად საჭიროა. რაც უნდა ენერგია და თავგანწირულობა გამოიჩინონ რეაქციის მედროშეებმა, მათი ბატონობა ფრიად ხანმოკლე იქნებოდა და უფრო სასტიკად დაატყდებოდათ თავს ხალხის რისხვა და შურისძიება...

ორნაირი შესაძლებლობა ერთგვარად არსებობს ჩვენთვის: რეაქციაც და რევოლიუციაც. კაცობრიობის შვება და კეთილდღეობა, რასაკვირველია, უკანასკნელის გამარჯვებაზეა დამოკიდებული. ჩვენი ქვეყნის ბედიც ევროპის დემოკრატიის ბედშია ჩაქსოვილი. მაგრამ როგორი სახეც უნდა მიიღოს მსოფლიო ამბებმა, ქართველი ხალხი მჭიდროდ უნდა შემოკრბეს საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო და არა დავზოგოთ ჩვენი თავისუფლების დასაცავად.

სამ. ფირცხალავა.

მთავრობაში

ნოემბრის 19-ს სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას გზათა მინისტრს მის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, 100,000 მანეთის კრედიტი ტფილისის სადგურის გასაფართოვებელ მუშაობის დასაჩქარებლად.

—

ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტი ღვინის აქციზის მომატების შესახებ, პრინციპიალურად მოწონებულ იქმნას შესწორებებით.

—

გორის ქალაქის თვითმართველობას მის შუამდგომლობაზე უარი ეთქვას—ანარქიასთან საბრძოლველად გაწეულ ხარჯების 120000 მანეთის სახელმწიფო ხაზინიდან ანაზღაურებისათვის.

—

ქუთაისისა და ფოთის თვით-მართველობებს ეპატიოს ქუთაისის სახაზინო პალატისაგან მიწერილი ჯარიმა: ქუთაისისას 1923 მანეთი და 63 კაპ. და ფოთისას 2947 მანეთი 74 კაპ. ამ თანხების სათანადო ანგარიშებიდან გამოკლებით.

—

ნოემბრის 21-ს მთავრობამ დაადგინა: მთელი თელავის მაზრა გამოცხადდეს სამხედრო წესზე-მყოფად.

—

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს ამხანაგს სიდავას, სასამართლოს წევრებს: მაჭავარიანს, ნიკურაძეს და ბრალმდებლის ამხანაგს მათეევს დროებით დაევალათ პირველს—ქუთაისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეობა, მეორეს—ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგობა, მესამეს და მეოთხეს წევრობა და მეხუთეს ბრალმდებლობა, თავიანთ თანამდებობაზე დატოვებით.

—

იმავე სასამართლოს წევრებად დაინიშნონ: იაკობ ს. ფანცხავა და შალვა სანებლიძე ხოლო ბრალმდებლის ამხანაგად გ. გაბუნია.

—

გაეხსნას იუსტიციის მინისტრს კრედიტი ქუთაისის საგანგებო სასამართლოს ამ წლის ბოლომდე შესანახ ხარჯებისათვის.

—

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გორის მაზრასთან მოსაზღვრე ადგილებში საქმის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, დადასტურებულ იქმნას დროებითი გენერალ-გუბერნატორის მაყაშვილის განკარგულება აწყურისა და ბარალეთის ნოემბრის 5 დან სამხედრო წესზე-მყოფად გამოცხადების შესახებ. ეს წესები გავრცელდეს აგრეთვე იმ ნაწილებშიც, სადაც ჩვენი ჯარები შევლენ.

უკანასკნელი ცნობები

სამხედრო წესები თელავის მაზრაში.

მთავრობის დადგენილებით თელავის მაზრაში ყაჩაღობის გავრცელების გამო სამხედრო წესები გამოცხადდა: გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ტფ. გუბერნიის კომისარი.

ტფილისის გუბერნიის კომისარი შ. მაღლაკელიძე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა თელავში მყოფ ტფ გუბერნიის კომისარ მაღლაკელიძეს: „მთავრობამ ბოროტ-მოქმედების ასალაგმად განსაკუთრებით კი ძარცვა-ყაჩაღობასთან საბრძოლველად დაადგინა თელავის მაზრაში სამხედრო წესები იყოს შემოღებული და თქვენ დაგეკისრათ დროებით გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულება აღნიშნულ რაიონებში. გაცნობებთ ამას შესაფერ განკარგულებათა გასაცემათ“.

გერმანიის ჯარები საქართველოში და ინგლისელები.

გარეშე საქმეთა მინისტრმა აუწყა გენერალ ფონ-კრესსა და ტფილისში არსებულ გერმანელ ჯარის-კაცთა საბჭოს, რომ ბაქოდან ინგლისელთა ჯარის უფროს გენერალ ტომსონისაგან მოვიდა დეპეშა, სადაც იგი გერმანელთა ჯარებს წინადადებას აძლევს, რომ იგინი დარჩნენ საქართველოში განსაკუთრებულ განკარგულებამდე, რომელიც გამოიცემა, ინგლისიდან დროებითი ზავის პირობების ნამდვილ ტექსტის მიღების შემდეგ.

საქართველოს პარლამენტი

(სამშაბათი. ნოემბრის 22).

პარლამენტი ამტკიცებს საბოლოო ტექსტს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებისა და თანახმად ოქტომბრის 31-ის დადგენილებისა ირჩევს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელსაც ავალებს საარჩევნო დებულების ინსტრუქციების შედგენას და მისი ცხოვრებაში გატარებას. კომისიაში შედის ყველა ფრაქციის წარმომადგენელი, სულ 21 კაცი.

შემდეგ გრძელდება მსჯელობა სკოლებში საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების კანონ-პროექტის შესახებ. მომხსენებელი ლ. ნათაძე იცავს კანონპროექტს იმ იერიშებისაგან, რომელიც მიიტანეს წინა კრებაზე მემარჯვენე სექტორიდან: სინიდისის თავისუფლების პრინციპი მოითხოვს, რომ მოსპობილ იქმნას საღვთო სჯულის ვალდებულება ყველასათვის და მისთვის ფულის გაღება. ყოველ მსურველს შეუძლიან საკუთარი ხარჯით ისწავლოს იგი, სადაც ჰსურს და როგორც ჰსურს. პრინციპიალურ მხარეს ერთვის პედაგოგიურიც: საღვთო სჯულის სწავლება გამოიხატებოდა გაუგებარ ლოცვების გაზეპირებაში და ზნეობის საკითხების განხილვაში მონური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. არც პრინციპიალურად, არც პედაგოგიურად შესაწყნარებელი არ არის, რომ საღვთო სჯულის სწავლება დარჩეს სკოლებში. იგი უნდა მოისპოს. გამონაკლის შეადგენს მხოლოდ მუსულმანთა სკოლები, სადაც წარმოდგენილ კანონპროექტის ძალით რჩება შარიატის სწავლება, რომელიც არსებითად არც კი წარმოადგენს საღვთო სჯულს, იგი სამოქალაქო კანონების ახსნა-განმარტებაა.

ასეთი იყო განმეორება მოსაზრებებისა სკოლებში საღვთო სჯულის გაუქმების სასარგებლოდ, რომელიც გაიზიარა ყველამ გარდა მემარჯვენე სექტორისა.

მწვავე კამათი გამოიწვია კანონპროექტის მე-5 მუხლმა, რომელიც შარიატის სწავლებას ეხება. სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია წინააღმდეგია მუსულმანთათვის პრივილეგიების შექმნისა და მოითხოვს ყველა იქმნეს გათანასწორებული კანონის წინაშე. კიდევ მეტი: მათი ორატორი გ. დოლიძე ნებას არ აძლევს მუსულმანებს თავისი რწმენა იქონიონ და აქედანვე სწყვეტს ღმერთის არსებობის საკითხს. „შარიატი უნდა განდევნილ იქმნას მუსულმანთა სკოლიდან—ამბობს ორატორი.—შარიატი იმასვე ასწავლის, რასაც საღვთო სჯული. ის ასწავლის ღმერთზე, რომელიც არ არსებობს...“

შარიატის სწავლების საკითხში სოციალ დემოკრატებსა ჩვეულებრივი სალტო მორტალე გაითამაშეს:

როდესაც პრინციპი მათ ეხლანდელ შეხედულებას ფარავს, ისინი პრინციპიალურ ნიადაგზე სდგანან.

წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის პრინციპი არ არსებობს.

როდესაც მემარჯვენე ხე ტორმა უსაყვედურა კანონპროექტის შემადგენელს—რა უფლება გაქვთ, ხალხის დაუკითხავად რომ სპობთ საღვთო სჯულის სწავლებასო, ლ. ნათაძემ უპასუხა: აპრიორული პრინციპია, რომ პარლამენტი (ხალხის წარმომადგენლები) ხალხის სურვილს გამოხატავსო.

ხოლო, როდესაც მუსულმანთა წარმომადგენლებმა—ახვერდოვმა და მამედბეგ აბაშიძემ—საყოველთაოდ განაცხადეს, რომ საღვთო სჯულის მოსპობას ვერას გზით ვერ შეიწყნარებს მუსულმანობა და შარიატი მაინც უნდა დარჩეს მუსულმანთა სკოლებშიო.

სოციალ-დემოკრატებმა ეს ყურად არ იღეს.

ეს, ალბად, იმიტომ, რომ მუსულმანთა წარმომადგენლები ვერ გამოხატავენ თავისი ხალხის სურვილებს და მხოლოდ სოციალ-დემოკრატია არის ხალხის სურვილების გამომსახველი. **ხ. ყ.**

კრება იხსნება 12 საათზ ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

რ. არსენიძე (სარედაქციო კომ. წევრი) ჰკითხულობს საბოლოო ტექსტებს: 1) დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებისა, 2) სამთო სამართველოს კანონისა და 3) გადასახადთა ინსპექციის კანონისა.

ტექსტები მიღებულია ერთხმად.

დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

ალ. ლომთათიძე (საარჩევნო კომ. წევრი) წინადადებას იძლევა, ვიდრე დამფ. კრ. ცენტრალური საარჩევნო კომისია აირჩეოდეს, გამოარკვიოს პარლამენტმა, საჭიროდ ცნობს, რომ ცენტრალურ კომისიას დაევალოს, რათა მან გამოსცეს ინსტრუქცია საარჩევნო დებულების ცხოვრებაში გასატარებლად. თუ ცენტრ. კომისიას დაევალოს მხოლოდ შედგენა ინსტრუქციისა და პარლამენტში წარმოდგენა დასამტკიცებლად მისი აზრით ცენტრალურ კომისიას უნდა მიეცეს ეს უფლება ინსტრუქციების გამოცემისა პარლამენტის დაუმტკიცებლად, რადგან მთავარი საქმე, რაც დამფ. კრების არჩევნებისათვის არის საჭირო, გაკეთებულია, დებულება დამტკიცებულია პარლამენტის მიერ, ხოლო ცენტრალური კომისია გამოსცემს დამტკიცებული დებულების ახსნა-განმარტებას: საქმეს ძალიან დააგვიანებს, რომ ინსტრუქციები პარლამენტმა განიხილოსო.

აკ. ფალავა (ს. ფედ.) წინააღმდეგია, რომ დღესვე იქმნეს არჩეული ცენტრ. კომისია, რადგან წინადღით გაგზავნილ დღის წესრიგში ცენტრ. კომისიის არჩევანი არ ყოფილა მოხსენებული და ფრაქციებში არც ყოფილა განხილული ეს საკითხი.

რ. გაბაშვილი (დამოუკ ნ დ.) მოითხოვს, რომ ინსტრუქციები უთუოდ იქმნეს განხილული პარლამენტში თუმცა ეს საქმეს დააგვიანებს, მაგრამ ქვეყნისათვის საჭიროა, რომ ინსტრუქცია განიხილოს და დაამტკიცოს პარლამენტმა, რადგან თუ იგი გამოსცა პარლამენტში განუხილველად ცენტრალურმა კოსისიამ, სადაც უმრავლესობა მთავარ პარტიებს ეყოლება, საარჩევნო კომპანიას არ ასცდება ძალმომრეობა.

იგ. გობეჩია (ს. რევ.) აზრით ინსტრუქციები შეიძლება უპარლამენტოდ იქმნეს გამოცემული.

მიღებულია ს. დ. რეზოლიუცია, რომ ცენტრ. კომისიას დაევალოს საარჩევნო დებულების ინსტრუქციების გამოცემა და ცხოვრებაში გატარება.

1 ს. 50 წ. სოც. ფედერალისტთა წინადადებით კრება დროებით სწყდება ცენტრალურ კომისიის შემადგენლობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

2 ს. 15 წ. კრებას კვლავ ხსნის თავმ. ე. თაყაიშვილი.

ლ. ნათაძე (ს. დ.) აცხადებს, რომ ცენტრ. კომისიაში სულ იქნება 21 წევრი: 7 ს. დემოკრატი, 2 სოც. ფედერალისტი, 2 ს. რევ. 2 ერ. დემ. და დანარჩენს პარტიებიდან თითო თითო.

რ. გაბაშვილი (დამოუკ. ნ. დ.) არა სამართლიანად მიაჩნია ასეთი პროპორცია. თუ მხედველობაში მივიღებთ ძალთა განწყობილებას, პარლამენტში რომ არის, პროპორცია არ არის სამართლიანი, მით უმეტეს არ არის სამართლიანი იგი, თუ გაეითვალისწინებთ იმას, რომ დღევანდელი ძალითა განწყობილება, პარლამენტში რომ არის, სრულებით არ გამოხატავს ძალთა განწყობილებას მთელ საქართველოში. ბატონებო! სოც.-რევოლიუციონერებს აქ ათი წარმომადგენელი ჰყავთ და ამ ათის გარდა საქართველოში 10 კიდევ აღარ მოიპოვება. ასეთ პარტიას თქვენ ცენტრ. საარჩევნო კომასიაში 2 ადგილს აძლევთ. მეორე პარტიამ ფედერალისტებისამ არჩევნებში ჩვენზე ნაკლები ხმები მიიღო, და მასაც 2 ხმას აძლევთ. დამოკიდებული ეროვნული დემოკრატები ბურჟუაზიას იცავენ? ისინი ყოველთვის უმცირესობას წარმოადგენდნენ და ყოველმხრივ მარცხდებოდნენ: ამათაც 2 ხმას აკუთნებთ. ხოლო ჩვენ, რომელსაც გაცილებით მეტი ხალხი მოგვდევს, გვაძლევთ ერთ ხმას. ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რომ მას 2 ხმა მიეცეს ცენტრ. საარჩ. კომისიაში.

რ. არსენიძე (ს. დ.) რ. გაბაშვილის წინააღმდეგია.

ივ გობეჩიას (ს. რევ.) იერიშები მიაქვს გაბაშვილზე და ასე მიმართავს მას: „თქვენ გაჰქრებით, და არა თუ თქვენ, თქვენი ამომრჩევლებიც გაჰქრებიან (შ. ქარუმიძე ადგილიდან დაცინვით: „მაშ დაგრჩებათ ბურთი და მოედანი“) თქვენი დრო მოჭმულია. თქვენ უნდა გაჰქრეთ“:

აკ. ფაღავა. (ს. ფ.) მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ესეთმა უბრალო საკითხმა კამათი გამოიწვია და ს. ფედ. ფრაქციის სახელით ემხრობა წამოყენებულ პროპორციას.

კამათი მოსპობილია და ფრაქციები ასახელებენ თავის წარმომადგენლებს ცენტრ. საარჩევნო კომისიაში.

კომისიაში არჩეული არიან:

ს.-დ ლომთათიძე, ჯიბლაძე, რუსია, ცინცაბაძე, სოლოღაშვილი, ქლენტი და ფირცხალაიშვილი.

ს. ფედ. არჩილ ჯაჯანაშვილი, ქლენტი და თ. ღლონტი.

დამოუკ. ნ.-დ. გრ. ვეშაპელი.

დამოუკ. კავშირიდან კ. მაყაშვილი.

მუსულ. ბლოკიდან: ახვერდოვი.

რ.-დემ. ალ. აბმეტელი.

ერ.-დემ. გ. გვაზავა და ი. ლორთქიფანიძე.

ალიონ. კ. ქავთარაძე.

ს. რევ. ივ. გობეჩია და თევზაძე.

პარლამენტი ამტკიცებს კომისიის ზემოხსენებულ წევრებს.

ზავის გარშემო

ელზას ლორენში.

ლიონი, 21 ნოემ. დღეს, ელზასის და ლორენის განთავისუფლებულ ტერიტორიის დაჭერა დიდი ენთუზიაზმით ხდებოდა. გენერალ კასტელნოს კოლმარში შესვლას მცხოვრებნი დიდი სიხარულით შეხვდნენ. მოზელიდან ვოგეზამდე ხაზი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, შეიცავს ტიონველს, უზონვილს, ფოლკლენჟენს, სარე-გემინს და ბიტშეს.

საფრანგეთი.

კლემანსო და ფოში, ინგლისის უმაღლეს სარდლობასთან ერთად, ამ დღეებში ჩავლენ პარიზში.

პუანკარემ მოინახულა დღეს მეუზის განთავისუფლებული ოლქები. ამ ჟამად ჩვენ გვიჭირავს ხაზი ნეუშატო, სენ-ავოლდი, ფორბახი, სარა-ებრუკი, ობერმე (სტრასბურგის სამხრეთ დასავლეთით). ახალი ბრიზაში და სენ-ლუი.

ლიუქსემბურგში.

ლიუქსემბურგი ამერიკის ჯარს უჭირავს.

გრძნობათა მღუხრზე

ღმერთმა დაჰკეტა ჩემს თვალთა წინ შუქთა კარები
და ღამის ტევრი ჩამოეშვა გიშრის ფარდებად...
გულს დღეის შემდეგ არაფერ გაუხარდება
და მოღიმარად ბღარაჯის მიჯეკარები;

მარტოობისას ცივ ფიქრებში შევეფარები,
და როს შევხვდები ძველს ღვთაებებს—დღეს მაწანწალებს:
გადვუგდებ ქისას, მაგრამ რიდით ავაცდენ თვალებს
და ბედის გმობა სულში ბნელად შემეპარება.

როცა მიყვარდა მე მტანჯავდა ეს სიყვარული,
მტანჯავდა ზიზღიც—როს დავშორდი გულ მოპარული,—
მოგონებას კი დღეს დაცინვის ცრემლები წარეცხს..

მითხრეს: „უფალიც მათხოვარად ხდება ბოლომდის!“
— მაშ რა ფასი აქვს ნეტარებას, ან მის მოლოდინს.
თუ სიცოცხლისა ორივ გვტანჯავს: ტკბილიც და მწარეც?..

ს. ფაშალიშვილი.

რეინის სანაპიროები.

გერმანიის დროებითი ზავის კომისიამ განკარგულება გასცა, სურსათის საწყობები, რომელიც რეინის მარცხენა მხარეზე სამხედრო უფროსებს ეკუთვნის, გამვლელ ჯარის განკარგულებაში გადასცენ.

კომხია

დროებითი ზავის კომისია უარყოფს დროებითი ზავის პირობათა შემსუბუქების შესახებ გავრცელებულ ხმებს. პირ-იქით, მიუხედავად იმისა, რომ გამოირკვა, მძიმე პირობათა პრაქტიკულად შესრულების შეუძლებლობა, მოწინააღმდეგემ უარი განაცხადა ამ საკითხის განხილვა.

უარყოფა.

ხმები, ვითომ 1916 წ. შემოდგომაზე, გერმანიის მთავრობამ უარყო საფრანგეთის საზავო წინადადება არ შეეფერება სინამდვილეს. არავითარი საზავო წინადადება არც ერთ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს არ წარუდგენია გერმანიისთვის ამ ომის დროს.

ფელდმარშალმა მაკენზენმა ვენაზე გაიარა.

რევოლიუცია გერმანიაში

პარტიათა შეთანხმება.

გერმანული პრესა, 21 ნოემ. გერმანიის ახალი დემოკრატიული პარტია უმთავრესად იმიტომ შეუკავშირდა პროგრესიულ სახალხო პარტიას, რომ ამ შეკავშირებით მან მოიპოვა პარტიული მექანიზმი, რომლის შექმნაც ახლანდელ პირობებში, ერთობ ძნელი იყო. ახალმა პარტიამ გამოაცხადა, რომ ის ოპოზიციაში უდგას ახალ რესპუბლიკაში თანასწორობის და კანონიერების წინააღმდეგ მიმართულ რეაქციონურ და ტერორისტულ ცდას. ახალი პარტია უარყოფს ყოველნაირ ექსპერიმენტებს. ბოლშევიკური იქნება ის თუ ბიუროკრატიული და მოითხოვს, რომ შეძლებულმა კლასებმა მნიშველოვანი მსხვერპლი გაიღოს.

მსხვერპლთა დაკრძალვა.

ბერლინში რევოლიუციის მსხვერპლთა დაკრძალვას ტენპელგენის ველზე 20 ნოემბერს მრავალი ხალხი დაესწრო. მთელ სატახტო ქალაქში ამ დღეს დიდი დემონსტრაციები იყო. 8 შავი კუბო, სრულიად დაფარული ყვავილებში წითელ ბაქანზე იყო დადგმული. პროცესიაში რამდენიმე ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთაც მოქონდათ წითელი დროშები და გვირგვინები. პროცესიაში მონაწილეობა მიიღეს სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლებმა ებერტისა და ჰააზეს მეთაურობით, აღმასრულებელ კომიტეტის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პრუსიის მთავრობის, ბერლინის მაგისტრატის, მრავალ ტრედ-უნიონის და მუშათა სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

გერმანიის ელჩები რუსეთში.

გერმანული პრესა. ნოემ. 21-ს, ცნობები თანახმად, რომლის ნაწილი მიღებულია პეტერბურგიდან და მოსკოვიდან და ნაწილი სხვა წყაროებიდან გერმანიის გენერალური საელჩოები თავის შტაბით პეტერბურგსა და მოსკოვში უფლება აყრილი და დაპატიმრებულია. რუსეთის რწმუნებული კონოვალოვი ნოემ. 12 ს, იუწყება რომ ისინი რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაშია. ამ დღიდან პირდაპირი დამოკიდებულობა პეტერბურგთან აღარ არსებობს.

ნაციონალიზაცია.

სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა კომისიას წარუდგინოს ცნობები მსხვილ საწარმოვო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის შესაძლებლობის შესახებ, კომისია რაც შეიძლება მოკლე ხანში წარმოადგენს ცნობებს. კომისიაში შედის: პროფესორები ბალოდ, ფრანკე, ვალტერ როტეგაში, კარლ კაუცკი და სხვანი.

,,სპარტაკის'' ჯგუფი.

მოსკოვი. ნოემ. 22 ს, ც. აღ კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. გერმანია სტოკჰოლმი. ნოემ. 22-ს, სპარტაკის ჯგუფმა პროგრამა შეიმუშავა: საბჭოების ხელ ახალი არჩევა, მათი მოწყობა რუსეთის საბჭოების სახით. პოლიტიკური ძალა-უფლების მცირე აღმასრულებელ კომიტეტის ხელიდან ჯარისკაცთა და პროლეტართა საბჭოზე გადაცემა დაუყონებლივ მოწვეულ იქმნას მუშათა და ჯარისკაცთა რეიხს პარლამენტი, გლეხთა და პროლეტარიატის დაუყოვნებლივ ორგანიზაციულად შეკავშირება პროლეტარულ წითელ გვარდიის შექმნა.

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი, ნემბრის 22. თავისუფალი მიმოსვლა ზღვაზე როტერდამით და საქონლის პირდაპირი გაზიდვა ზღვის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაპირებიდან. მომავალ თვეში მოსალოდნელია პრელიმინარული მოლაპარაკება ზავზე, რომელიც იანვრამდე გასტანს. სტოკჰოლმი, ნოემბრის 22. ბელგიის მთავრობა ბრიუსელში ჩავიდა. ლონდონი, ნოემბრის 21. მიღებულია ოფიციალური ცნობა ბუდაპეშტის და სტამბოლის ოკუპაციის შესახებ. ინგლის-საფრანგეთის საოკუპაციო ჯარში უმეტესობა ზანგი, მაროკოელი და ინდოელია.

კურსკი. უკრაინის დეპეშათა სააგენტო უარყოფს ცნობას მოკავშირეთა ჯარის ოდესაში შესვლის შესახებ. ველიკი შენგურის მაზრაში, თეთრ გვარდიელთა მიერ დაპყრობილ დაბაში გლეხები აჯანყდნენ. გვარდიელებმა დამსჯელი რაზმი გაგზავნეს. არხანგელსკში მყოფ რუსის ოფიცრებს ინგლისის სარდლები შავ სამუშაოზე ნიშნავენ. ვორონეჟი, კრასნოვის მთავრობამ 1 მილიონის კონტრიბუცია დაადო ტაგანროგის ოლქის გლეხებს. ბურჟუაზია და სამღვდელოება თავისუფალია. როსტოვი, სტამბის მუშათა გაფიცვის გამო კრასნოვის მთავრობას საშუალება არა აქვს ოფიციოზური გაზეთები გამოსცეს.

ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბისაგან

ვიღებთ რა მხედველობაში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან სახელმწიფოებრივი აპარატის დაცვას, და ამავე დროს გარეშე საფრთხის წინაშე მთლიანი სახით შეკავშირებას, ქუთაისის მაზრის სახალხო გვარდიის შტაბი, რომელიც იმყოფება ქ. სამტრედიაში, მის მოქმედების ტერიტორიაზე მყოფ საზოგადოების საყურადღებოდ აცხადებს შემდეგს:

1. ის მოქალაქეთ, რომელთაც აქვთ „ვინტოვკა“, „ბერდანკები“ და სხვა სისტემისა, გარდა სანადირო თოფებისა, და მასთან თოფის ნაწილები და პატრონები უნდა წარმოადგინონ შტაბში, და ყველა ამასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი ყოველგვარი სისტემის რევოლვერი. შტაბი მოწმობებს იცნობს კანონიერად შემდეგ დაწესებულებებისაგან:

ა) გუბერნიის კომისარისაგან, მილიციისაგან, რომელიც მიცემულია მხოლოდ მილიციის უწყებაში მყოფ პირებზე, სხვა და სხვა პოლკებისგან და საერთოდ ყველა იმ დაწესებულებიდან, რომლებიც პირდაპირ შედის სახელმწიფო ადმინისტრატიულ აპარატში.

შენიშვნა: ა) იმ ჯარის კაცებს, რომელთაც პირდაპირ სამსახური არ ავალებს რევოლვერის ტარებას მას ჩამოერთმევა და გადაეცემა თავის ნაწილს.

შენიშვნა: ბ) ის ოფიცრები, რომელნიც სამსახურში არ ირიცხებიან, ექვემდებარებიან ამ განცხადებას.

ბ) ყველა სახაზინო ქონება რომლებიც შეძენილი არის არა კანონიერ სახით სხვა და სხვა პოლკებიდან და საწყობებიდან, უნდა იქნას ჩაბარებული შტაბში.

გ) ვინც უპასუხისმგებლოდ რევოლვერს ან თოფს გაისვრის, იარაღი ჩამოერთმევა და იმავე დროს მიუხედავად მისი თანამდებობისა იქნება პასუხის გებაში მიცემული.

დ) ყველა ადმინისტრატიული პირები ვალდებული არიან ამ განცხადების ყველა მუხლები ცხოვრებაში გაატარონ. თუ რომელიმე ადმინისტრატიულ პირს დაუმტკიცდება ის, რომ მან იცოდა და მალული იარაღი ან სახაზინო ქონება და თავის დროზე არ გამოააშკარავა, სასტიკ პასუხის გებაში იქნება მიცემულნი.

ამ განცხადების გატარება ევალება შტაბთან არსებულ საგანგებო რაზმს და ყველა ქვერაიონულ შტაბებს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

შტაბის თავმჯდომარე: **ს. ნინუა,** მდივანი: **კ. კვერნ ძე.**

ახალი ამბავი

დეპეშა თელავიდან. დღეს მაჰმადიანთა სოფელ ყარაჯალაში რომელიც თელავზე 8 ვერსითაა დაშორებული მცხოვრებლებს იარაღი ავყარეთ: ყაჩაღები გასცეს და ჩვენს ხელშია. გუბერნიის კომისარი მაღლაკელიძე.

◆ **სამხედრო მინისტრის წასვლა.** ნოემბრის 21-ს სამხედრო მინისტრი ბორჯომს გაემგზავრა ჯარების დასათვალიერებლად და ადგილობრივ პირობათა შესასწავლად. მასთან ერთად გაემგზავრა გენერალი გედევანიშვილი.

◆ **პური.** უკანასკნელ დღეებში ჩრდილო კავკასიიდან ტფილისში პურის შემოტანამ იკლო, რითაც სპეკულიანტები სარგებლობენ და პურის ფასს აუწიეს.

◆ **სომეხთა ლტოლვილთათვის.** სომეხთა ეროვნულ საბჭოსთან არსებულმა ლტოლვილთა კომიტეტმა 132000 მან. გადასდო ლტოლვილთა საჭიროებისათვის.

◆ **მშვიდობიანობის დარღვევისათვის** მილიციის უფროსის განკარგულებით 3000 მან. დააჯარიმა ან სამი თვის ციხე გადაუწყვიტა ს. ფხაკაძეს ი. კობერიძეს მშვიდობიანობის დარღვევისათვის.

◆ **თავდასხმა.** ნოემბრის 22-ს გენერალ სპირიდონ ესაძის ბინაზე, მის შინ არ ყოფნის დროს, შეიჭრა შეიარაღებული ბოროტ მოქმედი, მოსამსახურეს ხელ-ფეხი გაუკრა და წაიღო 23,000 მან. ფულად. 5000 მან. ღირებული პორტ სიგარი და ტანისამოსი.

◆ **გაძარცვა.** გუშინ დილით მალაკნის ქუჩაზე სასტუმრო „ისლამში“ შეიჭრა რამოდენიმე ბოროტმოქმედი, გაძარცვეს სასტუმროს პატრონი და მდგმურები და გაიტაცეს 4900 მან. ფული და სხვა ნივთები.

◆ **ქართული სატეხნიკო საზოგადოების კრება.** ოთხშაბათს, ნოემბრის 27 საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩაზე № 11, შესდგება ქართული სატეხნიკო საზოგადოების კრება, რომელზედაც ინჟ. ვ. მამრაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „კანონი სამელიორაციო ამხანაგობებისა“.

◆ **ლექცია:** ხვალ ნოემბრის 25 საღამოს, 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: შალამბერიძე: „ქიმია“, ირემაშვილი: „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა“;

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი.** ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი მთავრობას სთხოვს 493 000 მანეთს ტელეფონებისა და ტელეგრაფის ხარჯებისათვის.

◆ **წითელი ჯვარი.** რუსეთის წითელი ჯვრის საგანგებო რწმუნებული მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რათა მთავრობამ ნება დართოს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგად იებას საქართველოში დარჩენილი მის ქონების დაპატრონებისა.

◆ **შეშის ზიდვა** გზათა სამინისტროს დეპეშა მოუვიდა სადაც აუწყებენ, რომ რკინის ლიანდაგებზე სხვა და სხვა სადგურთან სამინისტროსათვის დამზადებულ შეშას ნებადაურთველად და უკანტროლოდ ეზიდებიან, რისთვისაც პასუხს არავინ აგებსო. სამინისტროს სთხოვენ ამის გამო დაინიშნოს შესაფერისი გამოძიება და სასტიკი ყურადღება მიექცეს ამ უპასუხისმგებლობასაო.

◆ **ბინის საკითხი.** გზათა მინისტრმა ქალაქის მოურავს სთხოვა, რომ ბინების დაცლის დროს უპირატესობა მიეცეთ რესპუბლიკის გზათა იმ მოსამსახურეებს, რომელთაც ცენტრალურ დაწესებულებათა შექმნის დროს ჩამოვიდნენ ტფილისში და უბინოდ დიდ გაჭირვებაში არიანო.

◆ **სიძვირის გამო** მთავრობამ ბაქოში ნავთეულობის შესაძენად გაგზავნა გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ტოლსტონოგოვი და სახელმწიფო კონტროლიორის წარმომადგენელი ქ. ყიფიანი, რომელთაც დღიურად 50 მან. დაენიშნათ. რადგან ბაქოში ამ ჟამად დიდი სიძვირეა, გზათა მინისტრი მთავრობის წინაშე შუამდგომლობს, რომ მათ დღიურად 100 მანეთი დაენიშნოთ საცხოვრებლად.

◆ **სახალხო გვარდიის დღე.** ნოემბრის 29, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, გვარდიის დღის აღსანიშნავად მორიგი ლექციები არ შესდგება. ქართულ ლექტორთა თავმჯდომარე ამხ. სერ. ჟორჟოლიანის ხელმძღვანელობით ყველა განყოფილებებში გაიმართება კონცერტი და წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც გადაეცემა გვარდიის შტაბს

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციას მოუვიდა ბ გიორგი მამრაძის წიგნი: „საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ვითარება 1. ქართლის ბედის უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი. წიგნი სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 40 გვ. და ჰღირს 3 მ 50 კ. 2. ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში“, ისტორიული მიმოხილვა ზ. ჭ—ძისა. გამოცემული ვლ. შატბერაშვილის მიერ. ფასი 50 კ.

◆ **სანოვაგე.** სასურსათო საქმეთა დელეგატების ყრილობის მთავარი რწმუნებული ათაბეგოვი აუწყებს რკინის გზის ყველა უფროსებს, რომ სასურსათო კომიტეტი რკინის გზის მოსამსახურეებს ყოველ გვარ სანოვაგით უზრუნველ ჰყოფსო.

◆ **საინფორმაციო ბიურო.** გარეშე საქმეთა სამინისტროსთან არსდება საინფორმაციო ბიურო, რომელიც პრესას მიაწვდის სხვა და სხვა საჭირო ცნობებს.

◆ **მასწავლებლები.** საშუალო სასწავლებლის მასწავლებლებმა გადასწყვიტეს მთავრობის თავმჯდომარესთან დელეგაცია გაგზავნონ და ითხოვონ ჯამაგირების მომატება.

◆ **სტატისტიკური განყოფილება.** მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან ახლად დაარსებულ სტატისტიკურ განყოფილებაში ამ კვირეში დაიწყება მუშაობა. ადგილების მთხოვნელი 1500 კაცია, საიდანაც მიღებული იქნება მხოლოდ 100 კაცი.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო.** მუშათა და ჯარისკაცთა ძველი საბჭოს დავალებით სამანდატო კომისია შეუდგა მუშაობას კომისია ამ დღეებში გამოაქვეყნებს ახალ საბჭოს წევრთა სიას.

◆ **მსახიობთა კრება.** დღეს, დილის 11 საათზე ქართული კლუბის შენობაში დანიშნულია ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა საგანგებო კრება.

◆ **ავადმყოფ მსახიობ ვალ. შალიკაშვილს** ქუთ. ქართ. დრ. საზ გამგეობის თავმჯდომარე ივ. პურადაშვილმა გადასცა 250 მან.

◆ **პოლიტეხნიკუმი.** რადგანაც მარტო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას არ შეუძლიან პოლიტეხნიკუმის

შენახვა, განათლების სამინისტრო დაეკითხა ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობას: მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას და რაოდენს—ტფილისის პოლიტეხნიკუმის შესანახად საჭირო ხარჯში.

◆ **დამატებითი მატარებლები.** ნოემბრის 21-დან რესპუბლიკის რკინის გზებზე, როგორც ბათომის, ისე სანაინ სალოღლის მიმართულებით დაიწყეს მიმოსვლა სამგზავრო დამატებითი მატარებლებმა.

◆ **სატყეო კურსები.** სატყეო ნაწილის ინსპექტორის პროფ. ს. ზ. ქურდიანის ხელმძღვანელობით მოწყობილი სამ თვიანი სატყეო კურსები დეკემბრის პირველ რიცხვებში უკვე დამთავრდება და ორმოც კაცამდე მთლად მომზადებული ტყის გამგის თანაშემწე იქნება გამოშვებული.

◆ **შპალები.** გზის საერთო საქმეთა მმართველმა წინადადება მისცა მოძრაობის უფროსს კახეთის რკინის გზის შპალების ჩამოსატანად 35 ვაგონის მიწვდის შესახებ.

◆ **„გამცემი“.** დღეს, საღამოს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება **გამცემი** დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზედ. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“.** დღეს, კლუბთან არსებულ ქართ. სახ. წარმოდგ. მმართ. წრე მართავს მორიგ წარმოდგენას ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით ა. ცაგარლის 3 მოქ. კომ. „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 391 შემთხვევით დაბეჭდილია „პარლამენტის გარეშემო“ ხაწყვეტი სიტყვისა, რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

წერილს „ინფლუენცია“ აქვს სათაურად. სათაურშიაც და მთელს წერილშიაც უნდა იყოს ინფლუენცა.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, ნოემბრის 24 საღამოს 7 ს. „სახ. საქმის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

—

სოც.-ფედ. მუშათა კავშირის კრება. სამშაბათს, ნოემბრის 26-ს საღამოს 7 საათზე გაზ. „სოც. ფედერალისტის“ ბინაზე პარტიულ ბიუროში დანიშნულია მუშათა კავშირის კრება. ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ, ვინაიდან ფრიად საჭირო საკითხებია გადასაწყვეტი.

—

ამხ. ალექს. წერეთლის მოხსენება. ოთხშაბათს, ნოემბრის 27-ს პარტიულ კლუბში გაიმართება ჩვეულებრივი საზოგადო კრება. პარლამენტის წევრი ამხ. ალექს. წერეთელი წაიკითხავს მოხსენებას ინგლისსა და საქართველოს შესახებ.

—

სტუდენტთა და მოწაფეთა კრება. დღეს, ნოემბრის 24 პარტიულ ბიუროში დანიშნულია ტფილისის სოც.-ფედ. სტუდენტთა მთავარი ბიუროს და ს.-ფ. მოწაფეთა ტფილისის კომიტეტის შეერთებული სხდომა. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

—

ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. კვირას, ნოემბრის 24 დილის 11 საათზე საგუბერნიო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია „ჩვეულებრივი კრება ამხანაგებს სთხოვენ უეჭველად დაესწრონ.

—

კვირას, ნოემბრის 24-ს, საღამოს 6 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კახეთის რკინის გზის სოციალ-ფედერალისტ. პარტიის წევრთა-მოსამსახურეთა საორგანიზაციო საკითხებზე.

სომხური პრესა

„აშხატავორი“ მოწინავე წერილს უძღვნის სომხეთის პარლამენტის 8 გიორგობისთვის სხდომას, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ამიერ-კავკასიის კონფერენციისა და შემდეგს გადმოგვცემს:

„როგორც სოც.-დემოკრატები, მალხაზიანის პირით, ისე სოციალისტ-რევოლიუციონერები, წინააღმდეგი იყვნენ როგორც ფორმის, ისე არსებითად კონფერენციისა. ყველა ფრაქციებმა და მათ შორის დაშნაკელებმაც უარჰყვეს ერთნაირი მოტივით ისეთ კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც იქნება გამომხატველი ქართული ნაციონალურ ჰეგემონიისა.

პრინციპიალურად მათ აღიარეს საჭიროდ კავკასიის კონფერენცია, მაგრამ დაადგინეს, არ მიიღონ მონაწილეობა 10 გიორგობისთვის კონფერენციაში, აგრეთვე იყო წინადადება, რომ მომუზადონ ნიადაგი კონფერენციის ორგანიზაციისათვის და წინდაწინ მოეწყოს მორიგება სხვა მთავრობებთან კონფერენციის საკითხზე, შემადგენლობაზე, დღის წესრიგზე და დროზე.

სადავო საკითას საზღვრების შესახებ საქართველოსა და სომხეთის შორის ამ კონფერენციასთან არავითარი კავშირი არ უნდა იყოს, ეს საკითხი უნდა გადაიჭრას, მხოლოდ ამ ორ რესპუბლიკათა წარმომადგენლების შეთანხმებით. ეს სხდომა—განაგრძობს გაზეთი, ჩვენ გვგონია ისტორიული, პირველად იმიტომ, რომ უარყოფილია კონფერენციაზე მონაწილეობა, რომელიც ასეთ ფორმალურ პირობებში უნდა ყოფილიყო მოწვეული, ამას აქვს ფრიად დიდი და არსებით. მნიშვნელობა. ამით ბოლო ეღება ქართულ ნაციონალიზმის დამლუპველ ჰეგემონიას ამიერ-კავკასიაში.

ეს გადამწყვეტი და სოლიდარული, non passumus ამიერ-კავკასიის ერთ-ერთი უდღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკის ამიერ-კავკასიაში—დიდი მუქარამ არა მარტო ქართული ნაციონალიზმისთვის, არამედ ყველა ნაციონალიზმისთვის, რომელიც ეცდება დაარღვიოს თავისუფლება და ერთობა ამიერ-კავკასიის ერებისა.

ჩვენ დიდი ხანია ვამხილეთ ეს ტენდენცია ქართულ სოც.-დემოკრატების ნაციონალისტური ჰეგემონისტა, ჩვენ ვკიცხავდით საქჯო მესამის და სახიფათო შუამავალის როლს, ამიერ-კავკასიის ერების შეკავშირებას და დემოკრატიათა გაერთიანების დროს“...

პატარა წერილები

2

ხალხის გამოფხიზლებისათვის.

კარგა ხანია, რაც რევოლიუციის ცეცხლის მიერ გამოწვეული აღფრთოვანება მინელდა, მიყუჩდა. წრეები და საზოგადოებები უფრო პრაქტიკულს მუშაობაში ჩაებნენ და ამ გზით სვლა თან და თან გრძელდება.

სოფელი და მისი ძალა, მიწის მუშა ანორმალურს პირობებში ცხოვრობს. მატერიალური მხარე არ მაქვს სახეში, არამედ მისი სულიერი სფერო მაინტერესებს.

სოფელი ინტელიგენტურს ძალებს მოკლებულია. ინტელიგენტები აწ მიწვეულნი არიან ქალაქებში, ან და თავის სურვილით მიუტოვებიათ სოფელი. და სწორედ ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ თუ სოფელში ჭორსა და პროვოკაციას ეგრე მძლავრი გავლენა აქვს.

დემოკრატიის, სოფლის კულტურული დონე პირველს საფეხურზეც ვერა სდგას, ამიტომ სოფლის გამოფხიზლება უნდა იყოს ვალი ინტელიგენციის, შეგნებული წრეების, პოლიტიკური პარტიებისა. პარტიები უნდა გახდნენ წინამძღოლნი დემოკრატიის, სოფლისა.

თორემ ისეთი მდგომარეობა, მხოლოდ არჩევნების დროს პოლიტიკურ პარტიათა გამოცდილი თუ გამოუცდელი პროპაგანდისტთა მისვლა სოფლად, ვერ მოეცხება მალამოდ სოფლის კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

არჩევნებამდე ჩვენი პოლიტიკური პარტიები არ მიდიან სოფლად ისე, როგორც ეს უნდა ხდებოდეს და მხოლოდ არჩევნების დროს გვინდა გავიგოთ მათი მოთხოვნილება და ჩვენს მოთხოვნილებასაც მხარი დავაჭერინოთ (კენჭის ჩაყრით). მაგრამ, განა კენჭი, ხმის მიცემა არის დამამტკიცებელი საბუთი ხალხის სიმპატიისა პარტიასთან?

ამ შეცდომაში მხოლოდ ის უნდა შედიოდეს, ვინც არჩევნების დროს სოფელს არ ესწრება. შარშანდელი დამფუძნებელი კრების (ყოფილი რუსეთისთვის) და წლევანდელი საერობო არჩევნები ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთებია.

მოდის მიწის მუშა საარჩევნო ყუთთან და „რომელი სჯობია, რომელი ჩავაგდო“ ეკითხება პარტიათა წარმომადგენლებს. მაშინ შეიძლება რომელიმე მცოდნე, გამოცდილი ან ყოყმანა თუ მაბეზღარა ადამიანის, მისი მეზობლის ზე-გავლენით აგდებს კენჭს.

შარშანდელი დამფუძნებელი კრების დროს ასეთს შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. მთელი საადმინისტრაციო რაიონი იკრიბება, ჰსურს ყველამ ერთს სიას მისცეს ხმა, მაგრამ მაინც ვერ სწყვეტს ასე მოხდა მაგალითად არტანუჯში.

არტანუჯის რაიონის ქართველ-მაჰმადიანობამ და მთლიანად გამაჰმადიანებულებმაც ასეთი რეზოლიუცია გამოიტანეს საერთო კრებაზე: „ქართველი მაჰმადიანები არტანუჯის რაიონისა გთხოვენ, ურჩიოთ, რომელ პარტიას მისცენ ხმაო.“ ეს დეპეშით გაუგზავნეს ტფილისში ცნობილ ჯაფაროვს და ექიმ სულთანოვს, რომელთაგანაც პასუხი ერთი კვირის განმავლობაში თუ მგონი სულაც არ მიუღიათ, მაგრამ იმ დღეებში რომ მიეღოთ, ხომ ისე მოიქცეოდნენ, როგორც ეს უკანასკნელნი იტყოდნენ?

საერობო არჩევნების დროს ზემო-ქართლის სოფლებში ხალხი გულზე ხელებს იკრეფდა, „თუ მატყუებდნენ ტყვია ჩაესხათ პირშიო“ ამბობდნენ და ისე ჰყრიდნენ კენჭებს. ამას დაუმატეთ კიდევ კომისართა და მილიციონერთა მუქარა და ძალდატანება და ნათლად გამოჩნდება კულტურულ-პოლიტიკურ-მოქალაქობრივი სახე ჩვენი სოფლებისა.

ამის შემდეგ სოფლის ინდიფერენტიზმი და არჩევნებში აბსენტეიზმი არც ისე საკვირველი ხდება ჩვენთვის.

მაშ საჭირო ყოფილა მუშაობა და გზის გამონახვა.

ნუ დავაყოვნებთ! ეხლავ ჩავსჭიდოთ ხელი დემოკრატიის გათვითცნობიერების და საკეთილდღეო საქმეს. აქ პარტიათა შეთანხმებულ მუშაობას ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექნება.

ვანო ნიკოშვილი.

გამომცემელი
ხამხონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

იბეჭდება და მალე გამოვა
ინჟ. ვ. კაკაბაძის
„მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“
2455

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე **ვიღებ შეკვეთილებს**: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ქალი რ. ბ. შიუდო.-ხახანაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, **ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე, მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მიხკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საზებით და საშვილოსნოს სნეულებანი, ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხივინის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ი. ი. ბერიშვილი. მიიღებს ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი გ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

თვალის სამკურნალო. მუდმივი სამოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვ. ის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევენზონ-ნისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა- მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

მედიცინის დოქტორი ბერ ლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სტომატოქირო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგან და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

კონსერვატორიის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ბ. ავახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბუნიათოვისა: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

ი. გრიშაშვილი

საჟათნოვა

ისიდორე სტრუას გამოცემა
ფასი 15 მანეთი.
იყიდება წ.-კ.წიგნ. მაღაზიაში.
და სხვ.

1386

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ივლისის 8-დან გამოდის საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის საორშაბათო გაზეთი

„სოციალისტ-ფედერალისტი“

რომლის მიზანიც არის: მდაბიო და სადა ენით აუხსნას საქართველოს მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეიტანოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

გაზეთი ღირს ცალი ათი შაური.

პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ გამოგზავნონ წერილები სოფლის და პროვინციებს ცხოვრების შესახებ, შემდეგი მისამართით ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. (ძველი სემინარია) „სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციას“.